საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიტროპოლიტი

მიტროპოლიტი (ლათ. metropolites), რომის იმპერიაში ოლქის (ეპარქიის) ან პროვინციის (დიოცეზის) მთავარი ქალაქის (მეტროპოლიის) მღვდელმთავრის ტიტული. პირველად იხსენიება ნიკეის I მსოფლ. საეკლ. კრებაზე (325). მას ემორჩილებოდნენ სამიტროპოლიტო ოლქში შემავალი ეპისკოპოსები. XIII ს-იდან დასავლეთში მ-ს არავითარი უფლება აღარ გააჩნდა. კათოლიკურ ეკლესიაში მ. მხოლოდ საპატიო ტიტულია. ამჟამად, ზოგიერთ ავტოკეფალურ ეკლესიაში (კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, პოლონეთი, ამერიკა) მ-ის ხარისხი ეძლევა ყველა მღვდელმთავარს, რ-საც თავისი ეპარქია აქვს. ზოგჯერ არის უეპარქიო მ-ც, რ-იც მიმაგრებულია ტაძარზე და აქვს წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება. მას ნომინალური მ. ეწოდება. საქართვ. ეკლესიაში მ. მთავარეპისკოპოსსა და ეპისკოპოსზე მაღლა დგას.